ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1637379

ნომერი: AR1270268

თარიღი : 04.12.2014

გაცემის თარიღი : 22.12.2014

გაცნობის თარიღი : 25.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის პლატო , II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი N 015/127) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ მდინარაძე პ/ნ 01024009459
- თბილისი ა.ცაგარელის ქ. N 10

ორგანიზაცია:

- შპს ცაგარელი 10 კოდი: 405018591

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 24.05.2013წ. #№704330 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 04 დეკემბერს #AR1270268 განცხადებით მომართა იოსებ მდინარაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 24.05.2013წ. #№704330 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად იოსებ მდინარაძის ნაცვლად შპს ნუცუბიძე პლაზას მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013წ. №704330 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ნუცუბიძის პლატოზე, II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვ.#015/127), ამხანაგობა ,,ნუცუბიძე II III IV 2010"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.16.015.127) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 24 მაისიდან 2015 წლის 24 მაისის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა იოსებ მდინარაძე.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, დღეის მდგომარეობით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ნუცუბიძე პლაზა (განაცხადის რეგისტრაციის #882014442596, ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/08/2014წ, საკადასტრო კოდი: #01.14.16.015.127).
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ 2010 წლის 31 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეთანხმებაში მითითებულია, რომ ამხანაგობის დაშლის შედეგად უზიერ ჯაფაროვის საკუთრებაში მიწის ნაკვეთთან ერთად გადადის აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და გაცემული მშენებლობის ნებართვა. ამავე შეთანხმების ერთ–ერთ მხარეს წარმოადგენს აქტში დამკვეთად მითითებული პირი –იოსებ მდინარაძე. ამასთან, წარმოდგენილია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც უზეირ ჯაფაროვმა ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატო, II, III და IV მ/რ-ების მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი N015/127) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.16.015.127, ფართობები: 1200.0 კვ.მ.) საკუთრების უფლება გადასცა შპს „ნუცუბიძე პლაზა“–ს. ამავე ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიწის ნაკვეთზე 24.05.2013წ. №704330 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ააშენოს შენობა–ნაგებობა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და 24.05.2013წ. №704330 ბრძანებაში დამკვეთად იოსებ მდინარაძის ნაცვლად მიუთითოს შპს ნუცუბიძე პლაზა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013წ. №704330ბრძანებაში და დამკვეთად იოსებ მდინარაძის ნაცვლად მიეთითოს შპს ნუცუბიძე პლაზა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.05.2013წ. №704330ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.